აფხაზეთის ავყონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო- სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი (N314, 19.02.2025) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 87-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად შეიქმნას საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია 8 წევრისგან, შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამაზ ხუბუა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ვახტანგ ყოლბაია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;

გ) თეიმურაზ მჟავია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

დ) ანზორ წოწონავა - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქციის „მრგვალი მაგიდა - დიალოგი ერთიანი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე;

ე) ზურაბ მებონია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი;

ვ) ვეფხვია გვარამია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;

ზ) თამაზ სანიკიძე - იურიდიულ და საკადრო საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი (კომისიის მდივანი);

თ) ზურაბ ჯგუბურია - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, საერთაშორისო კავშირების, განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

3. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია კომისიის სხდომებზე დასასწრებად მოიწვიოს სხვა პირები.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია

2025 წლის 26 თებერვალი
N04-ს

განმარტებითი ბარათი

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენა.

დადგენილებით ხდება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნება და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნა.

დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს ხარჯების გაღებას ბიუჯეტიდან, გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე და არ იწვევს ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

დადგენილების პროექტის ავტორი და ინიციატორია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.

ა.ბ) დადგენილება გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ა.გ) დადგენილების პროექტი გავლენას არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ბ) დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს სხვა ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანას.